

ლაბეჯინის ოთხთავი

ლაბეჯინის ოთხთავი, ეტრატზე ნუსხურით შესრულებული სახარების ხელნაწერი (საგარაუდოდ, XIII ს.). გადანერილია გიორგი დვალის მიერ. შეიცავს 275 ფურცელს. სათაურები და მეთაური ასოები ნაწერია წითლურით, ტექსტი – შავი მელნით. ყდა ხისაა, რასაც მიხაკისფერი ტყავი აქვს გადაკრული. მასზე ჩაჭრით გამოსახულია სახარების სცენები. ხელნაწერი შემკობილია ოთხი მახარებლის მინიატიურებით. იოანეს სახარების ბოლოს არის წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძი, რ-იც ასე იწყება: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმინდაჲ ოთხთავი ჩუენ ახლად გვითარგმნია“. დაცულია ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის A ფონდში.
